

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი _ გონერი კვარაცხელია
თანამდებობის დასახელება - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
ფრაქციის დასახელება -
კომისი(ებ)ის დასახელება -
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) – N68.14 ჯგალის ადგილობრივი
მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი
საანგარიშო პერიოდი -2015 წლის 01 ნოემბრიდან 2016 წლის 01 ნოემბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _ რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა _ 25
საკრებულოს სხდომებზე დასწრება _ 24

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _
კომისიის სხდომებზე დასწრება -

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა __
ფრაქციის სხდომებზე დასწრება __

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

ა) 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016–2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის
თაობაზე;

გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა
კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ;

დ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის
მუნიციპალური პროგრამების შესახებ;

ე) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის
მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების
თაობაზე;

ვ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის მხარდამჭერ ამომრჩეველთა
სიის ბლანკის, პეტიციის თაობაზე წარსადგენი განცხადების ფორმისა და მისი
რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ;

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა __28 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა
რაოდენობა სულ ____615

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

ა) ჯგალის ცენტრში ადმინისტრაციულ შენობის მშენებლობა;

ბ) ლეთოფურეს, კანთის, ლესალეს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი;

გ) ჯგალის N2 საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობა;

დ) ჯგალის ცენტრის კეთილმოწყობის საკითხი (სანიაღვრე არხებისა და ხუმლა ღელეს
კალაპოტში ბეტონის ჯებირის მოწყობა) ;

- ე) ხიდ- ბოგირების მოწყობის საკითხი ლესალესა და სამიქაოს უბნებში;
- ვ) კურორტ სქურთან დამაკავშირებელი გზის მოსფალტება;
- ზ) ჯგალის თემში გამავალი ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ (ლეკაკულეს უბანში) გარე განათების მოწყობის შესახებ.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

- ა) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი თანხებით ჯგალის ცენტრში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა დაფინანსდა 85000 ლარით;
- ბ) დაწყებულია ჯგალის N2 საბავშვო ბაღის მშენებლობა.
- გ) ნაწილობრივ გაკეთებულია შიდა გზები (ჩატარდა მოხრეშვითი სამუშაოები) .

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა
2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული ვარ N68.14 ჯგალის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად. 2014 წლის 21 ივლისიდან ვარ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

საანგარიშო პერიოდში მოსახლეობასთან შეხვედრებისას წამოჭრილ საკითხთა გადასაჭრელად შეხვედრისას დასმულ ყველა საკითხზე ინფორმაცია მიეწოდა საკრებულოს, გამგებელს და გამგეობის შესაბამის სამსახურებს.

საკრებულოს წევრის და ძირითადად საკრებულოს ფუნქციას: გადაწყვეტილების მიღებისას გააკეთოს სწორი არჩევანი, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის მიზანი იქნება უერთგულო ამ პრინციპს. მინდა დამერწმუნოთ იმაში, რომ ჩემი მუშაობა მიმართული იქნება იმ საკითხების, შესაძლებლობის ფარგლებში გადასაწყვეტად, რომლებიც მოქალაქეთა მიერ წამოჭრილი იქნა საანგარიშო პერიოდში და მათი განხორციელება ვერ მოხერხდა, ასევე იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც წამოჭრილი იქნება მომავალი წლის საანგარიშო პერიოდში.

შევსების თარიღი- 31.10.2016წ.

წარდგენის თარიღი _31.10.2016 წ.

ხელის მოწერა _____

